№ 2 2013

მასწავლებელი

თანამშრომლობითი სწავლა-სწავლება

პროფესიული განვითარების თანამედროვე მოდელები

საკლასო ოთახის ფიზიკური გარემოს გეოგრაფია

საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აქტიურად მუშაობს მასწავლებელთა დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის მიმართულებით. აღნიშნული მასალა ხელს უწყობს როგორც, ზოგადად, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, ასევე სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მზადებას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემების შეძენის მსურველებმა პუბლიკაციის ღირებულების შესაბამისი თანხა უნდა გადარიცხონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალურ საბანკო ანგარიშზე:

სს „ბაზისბანკი“
ბანკის კოდი: CBASGE22
ანგარიშის ნომერი: 134983
მიმღები: მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი:
202 374 251

ქვითარში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გამოცემის სახელწოდება. გადარიცხვის შემდეგ ქვითარი უნდა წარედგინოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს ქვემოთ მოცემულ მისამართზე ან/და სკოლის ადმინისტრაციას, რომელმაც წერილობით უნდა აცნობოს ცენტრს პედაგოგების მიერ გამოწერილი პუბლიკაციებისა და საჭირო რაოდენობების შესახებ. საჯარო სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები გამოწერილ გამოცემებს მიიღებენ სკოლაში, ცენტრის მიერ მიღებული განაცხადების საფუძველზე.

თბილისი 0102
გმირ კურსანტთა ქ. №1

ცენტრის გამოცემების შეძენა შესაძლებელია „პრიმა ჯგუფი 2009“ წიგნის მაღაზიაში – ქ. თბილისი, დადიანის ქ. 43
ტელ.: 296 62 38

www.tpdc.ge

დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის

კითხვის ეფექტური მეთოდები
სასწავლო მეთოდური ფილმი (DVD) და მისი გზამკვლევი



მასწავლებელთა
დამხმარე სახელმძღ-
ვანელო სამ ნაწილად:

1. განვითარებისა და სწავლის თეორიები
2. სწავლება და შეფასება
3. სასწავლო და პროფესიული გარემო

ჟურნალი „მასწავლებელი“

რედაქტორისგან

ხშირად მიფიქრია, მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქვეყანამ განათლების რეფორმა დაიწყო, რამდენი რამე შევცვალეთ, დავანგრიეთ, ავაშენეთ, ან ეს ყველაფერი მხოლოდ ვცადეთ...

რეფორმის დაწყებისას მასწავლებელი უკვე აღარ ვიყავი, თუმცა, ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ვერ ვიტყვი, რომ მოვლენებს მხოლოდ გარედან ვაკვირდები.

ხშირად მიფიქრია: ისევ მასწავლებელი რომ ვიყო, ან სკოლის ადმინისტრაციის წევრი, ვენდობოდი თუ არა ამ მრავალმხრივ, დაუბალანსებელ, ხშირად კვლევებსა და გამოცდილებას მოკლებულ გადაწყვეტილებებს? თუ ვიფიქრებდი, რომ ყველა სიახლე, რომელსაც სახელმწიფო გვთავაზობს, დროებითია და არ ღირს მათ განსახორციელებლად დროისა და ენერგიის ხარჯვა?

ხშირად მიფიქრია, რატომ იქცა და დღემდე რატომ რჩება აქილევსის ქუსლად საშუალო განათლება საქართველოში, მინდა ვიცოდე, რა გადაწყვიტეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და რეფორმის კომისიამ და როგორ ცვლილებებს უნდა ველოდოთ, ან თუ შეცვლის ეს ყოველივე საზოგადოების, უპირველესად კი მასწავლებლის დამოკიდებულებას სკოლისა და სასწავლო პროცესისადმი.

ხშირად მიფიქრია, როგორ უნდა „ვაიძულოთ“ მასწავლებელს საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, რადგან ხშირია საზოგადოების უკმაყოფილება მასწავლებლის საგნობრივი კომპეტენციებითა თუ მისი პროფესიული უნარებით.

ხშირად მიფიქრია, როგორ ვაფასებთ და დავაფასებთ მასწავლებელს; რა ფორმით მოხდება სერტიფიცირება და რა მოხდება სერტიფიცირების შემდეგ; შეუწყობს თუ არა ხელს უფრო დიდი ხელფასი მასწავლებლის პროფესიონალიზმის ამაღლებას, მისცემს თუ არა მას სტიმულს, მეტი იმუშაოს საკუთარ თავზე.

მასწავლებელთა სერტიფიცირება წარმატებით მაშინ ხორციელდება, როდესაც ის მასწავლებლის პროფესიული განვითარების უწყვეტი სისტემის ნაწილია და არა იძულება.

იმედია, ჩვენი ჟურნალის მკითხველები ამ მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხს მალე მიიღებენ და შედეგები ხელშესახები გახდება.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

N2(26),2013

მასწავლებელი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 / მ-374

რედკოლეგია: გია მამულაშვილი, ნინო რევიშვილი, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **მთავარი რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: მანანა ბოჭორიშვილი, თეო ნეფარიძე, თეო ჭყოიძე, მაია ფირჩხაძე, ირინა აბულაძე, ნინო ლაბარტყავა, მერაბ ლაბაძე, ქეთევან ქობალია, ეკატერინე შავერდაშვილი, ნესტან რატიანი, ირმა კახურაშვილი, გიორგი ნოზაძე.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

22

მოსაზრება

თეო ნეფარიძე

13 | **თანამშრომლობითი სწავლა-სწავლება**

თავისი არსით, თანამშრომლობითი სწავლა/სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდია. დამოუკიდებელი და კონკურენტული სწავლებისგან განსხვავებით, თანამშრომლობითი სწავლა/სწავლების ამოსავალი წერტილი მოსწავლეა, მასწავლებელს კი შედარებით პასიური დამკვირვებლის როლი ენიჭება.

მაია ფირჩხაძე

26 | **ცნების შინაარსში წვდომის პროცედურები ინდუქციური და დედუქციური სწავლებისა**

სწავლების მეთოდიკა პასუხს გვაძლევს კითხვაზე: რა გზით შეგვიძლია მივაღწიოთ სათანადო შედეგებს სწავლებისას? ხოლო სწავლების ტექნოლოგია გვპასუხობს კითხვაზე: როგორ გავხადოთ შედეგი გარანტირებული? ამიტომ ნებისმიერი დიდაქტიკური ამოცანის ეფექტურად გადაწყვეტა, მეტწილად, ტექნოლოგიების სწორად შერჩევაზეა დამოკიდებული.

გიორგი ნოზაძე

34 | **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების თანამედროვე მოდელები**

ტერმინი „პროფესიული განვითარება“ ნიშნავს მოწესრიგებულ, უწყვეტ და ინტენსიურ მიდგომას მასწავლებელთა შრომის ეფექტიანობის გაუმჯობესებისადმი იმ საბოლოო მიზნით, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს მოსწავლეთა მიღწევები.

ნესტან რატიანი

54 | **პერსონალური პროექტის შესახებ**

დღეს ერთ-ერთ ასეთ პროგრამაზე მოგითხრობთ, რომლის მიხედვითაც სავალდებულოა, მოსწავლემ პროექტი განახორციელოს. ოღონდ ეს პროექტი ცოტათი განსხვავდება ტრადიციული პროექტებისაგან.

გამოცდილება

ეკატერინე შავერდაშვილი

38 | **ტრადიციული ქვეყანათმცოდნეობიდან ინტერკულტურულ სწავლებამდე**

თანამედროვე უცხო ენის გაკვეთილი მხოლოდ ცოდნის გადაცემასა და ფაქტებზე ორიენტირებას არ გულისხმობს. მოსწავლე, „უცხო“ ქვეყნის გეოგრაფიული თუ ისტორიული ფაქტებისა და „მაღალი“ კულტურის ათვისებასთან ერთად, ამ ენის მატარებელი ხალხის მენტალიტეტს, მისი ყოფა-ცხოვრების ამსახველ ინფორმაციებსაც ეცნობა.

გლობალური სკოლა

ირინა აბულაძე

22 | **„მხოლოდ მკვდარი თევზი მიჰყვება დინებას“: ფინეთის განათლების სისტემის წარმატების საიდუმლო**

რა გზით აღწევს ამ შედეგს ქვეყანა, რომელიც დღემდე ლიდერობს საერთაშორისო შეფასებებში? შესაძლებელია თუ არა, მისი წარმატების ფორმულა სხვა ქვეყნებმაც გაიზიარონ?

ექსპერტი

მანანა ბოჭორიშვილი

9 | **დიდაქტიკური თამაშის ფსიქოლოგიური და კოგნიტური საფუძვლები**

„თამაშობენ ბავშვები, უფროსები. თამაშობენ ცხოველები. თამაშობდნენ პირველყოფილი ადამიანები...“ – ეს სიტყვები მიხეილ თუმანიშვილის ერთ-ერთი წერილიდანაა. წერილის დედაზრია, რომ ნებისმიერ ეპოქაში ყველა ცოცხალ არსებას აქვს თამაშის – რეალობის იმიტირების, „თეატრალიზების“ მოთხოვნილება.

შინაარსი

26

რესურსი

ნინო ლაბარტყავა

17 | საკლასო ოთახის ფიზიკური გარემოს გეოგრაფია

ახდენს თუ არა გავლენას მერხის ადგილმდებარეობა საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის აქტიურობაზე, აკადემიურ მოსწრებასა და მის ადგილზე კლასის სოციალურ იერარქიაში?

თეო ჭყოიძე

42 | წერის სტრატეგია „შინაარსი – მიზანი – აუდიტორია“

წერის პროცესის დაწყებისას ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს პასუხის ჩამოყალიბება შემდეგ კითხვაზე: „საიდან უნდა დავიწყო წერა?“. ამის მთავარ მიზეზს წერის სტრატეგიებისა და წერილობითი ნაშრომის ტიპების უცოდინრობა და ნაკლები გამოცდილება განაპირობებს.

მერაბ ლაბაძე

46 | სწავლებისთვის სასარგებლო ინტერნეტინსტრუმენტები

ტექნოლოგიები და ინტერნეტი სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება, იქმნება ახალი შესაძლებლობები, რომ მოიპოვოთ რესურსები სწავლებისათვის, გაამდიდროთ გაკვეთილები ინტერაქტიული პროგრამებით და მულტიმედია მასალებით, გაუზიაროთ თქვენი გამოცდილება სხვებს, ისწავლოთ და ასწავლოთ ხალისიანად.

ქეთევან ქობალია

50 | მოძრავი თამაში როგორც ბავშვის ფიზიკური თვისებების განვითარების საშუალება

თამაშმა აღმზრდელობით-საგანმანათლებლო ფუნქცია რომ შეასრულოს, საჭიროა მისი გულმოდგინედ შერჩევა ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ფიზიკური მომზადების დონის გათვალისწინებით.

ინტერვიუ

ირმა კახურაშვილი

4 | თანამშრომლობის კულტურის დასამკვიდრებლად

უახლოეს მომავალში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი პედაგოგებისთვის სასარგებლო სიახლეების დანერგვას გეგმავს. ამის შესახებ უფრო დეტალურად ცენტრის დირექტორი გია მამულაშვილი გვიამბობს.

ინტერნეტგაზეთი
www.mastsavlebeli.ge

27-30

ირმა კახურაშვილი

7 | პროგრამა, რომელიც სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას მოემსახურება

რამდენად მნიშვნელოვანია სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა ჯგუფი სკოლისათვის, რა შედეგებს გამოიღებს მასწავლებლის ზრუნვა საკუთარ და კოლეგების პროფესიულ განვითარებაზე, როგორ გაზრდის მათი მუდმივი თანამშრომლობა და კომუნიკაცია საგნობრივ თუ მეთოდურ კომპეტენციებს – ამის შესახებ პროგრამის კოორდინატორი მაია ინასარიძე მოგვიყვება.